

1.ზოგადი მონაცემები შპს „ ბილდკინგის“ შესახებ

საწარმოს ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმაა – შპს, რომელიც რეგისტრირებულია 03.06.2016 წელს მარეგისტრირებული ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მინიჭებული აქვს ს/ნ 400177358, იურიდიული მისამართია ქ. თბილისი ც, დადიანის ქ №305. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მშენებლობა, რემონტი (სახელმწიფო ტენდერებით) დადებული ხელშეკრულების საფუძველზე

კომპანიას მართავს დირექტორი ლაშა რუხაძე, 2022 წლის 15 აგვისტოს მდგომარეობით კომპანიის 40%-იანი წილის მფლობელია ლაშა რუხაძე, 40 %-ის ნელი კალაძე და 20 %-ის ნანო რუხაძე

საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური უწყისები მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ფიქსირებული აქტივების ისტორიულ ღირებულებაზე დაყრდნობით. ფინანსური ანგარიშგება მოყვანილია ქართულ ლარში. საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების“ შესახებ მოთხოვნათა შესაბამისად.

საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები ფიქსირდება ოპერაციის მოხდენის დღისათვის ოფიციალური კურსით ლარებში. სავალუტო პოზიციების მიხედვით წარმოქმნილი კურსთა შორის სხვაობები აისახება ფინანსურ შედეგებზე

დებიტორული დავალიანება

ორგანიზაციის დებიტორული დავალიანება (მოთხოვნები) აისახება ნეტო (მოსალოდნელი ანაზღაურების) თანხით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა

შეძენილი მასალების ღირებულება აისახება შეძენის ფაქტიური თვითღირებულებით, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თვითღირებულება განისაზღვრება იდენტიფიცირების მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ნაყიდი ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, მონტაჟის, ტრანსპორტირების და სხვა პირდაპირ ხარჯებს. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ცვეთის თანხით.

შემოსავლები და ხარჯები

საზოგადოება მუშაობს დარიცხვის მეთოდით, სადაც შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა მომსახურება გაწეული, მიუხედავად მის სანაცვლოდ ფულადი სახსრების ან სხვა ეკონომიური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა.

–შემოსავლები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მათი წყაროების მიხედვით;

–ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით;

–წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება: დივიდენდების გასაცემად და სხვა მიზნით.

ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები აღირიცხება იმ თანხით, რომლის გადახდაც მოუწევს საზოგადოებას;

საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი შედგება გასული და სამეურნეო წლის მოგება ზარალისაგან

2.კომენტარები ფინანსური ანგარიშგებაზე

ახსნა-განმარტებები ბალანსზე (იხ. ბალანსი)

მიმდინარე აქტივები

ფულადი სახსრები (სალარო)

საწარმოში შემოსული და გაცემული ნაღდი ფული აღირიცხება საბუღალტრო პროგრამაში. სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერები გამოწერილია სწორად, რომელსაც თან ახლავს დამადასტურებელი დოკუმენტები, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სალაროს ნაშთია 1.78 ლარი.

საბანკო ანგარიშები

საბანკო ანგარიშებზე, ეროვნულ ვალუტაში რიცხული ფულადი სახსრების ამსახველი ანგარიშები წარმოებულია სწორად, საბანკო ამონაწერებისა და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე. ანგარიშები გახსნილი აქვს: სს „საქართველოს ბანკში“. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენს 150 737 ლარს, სს „ბანკი ქართუ“-ში ნაშთი შეადგენს 165 ლარს, სს „პროგრესიბანკში“ ნაშთი შეადგენს 66 992 ლარი, ევროს ნაშთი სს „საქართველოს ბანკში“ შეადგენს 4.31 ლარს.

მიმდინარე აქტივები

საწარმოს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიწოდება მომსახურებიდან მოთხოვნა შეადგენს 518 590 ლარს, წინასწარ გაწეული ხარჯი 648 047 ლარს, მომწოდებელზე გადახდილი ავანსი შეადგენს 119 311 ლარს, მოთხოვნა საწარმო პერსონალისგან შეადგენს 124 058 ლარს.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქონლის ნაშთი შეადგენს 204449 ლარს.

გრძელვადიანი აქტივები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება შეადგენს 103 068 ლარს და არამატერიალური აქტივი შეადგენს 809 ლარს.

მიმდინარე ვალდებულებები

მიმდინარე ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიწოდება მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულება შეადგენს 277 815 ლარს, მიწოდებიდან მიღებული ავანსი შეადგენს 896 951 ლარს, საგადასახადო ვალდებულებები 67 066 ლარს, საპენსიო ფონდის ანარიცხები შეადგენს 59 766 ლარს, სხვადასხვა ვალდებულებები შეადგენს 2 542 ლარს.

გრძელვადიანი ვალდებულებები

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 739 006 ლარს.

საკუთარი კაპიტალი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ზარალმა შეადგინა 106 914 ლარი ლარს.

ბალანსი

აქტივები	2020 წ.	2021წ.
<i>მიმდინარე აქტივები:</i>		
ფულადი სახსრები	89276	217900
მოთხოვნა მიწოდება მომსახურებიდან	81611	518590
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი	29507	119311

წინასწარ გაწეული ხარჯები	0	648047
მოთხოვნა საწარმო პერსონალის მიმართ	484669	124058
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	620539	204449
მთლიანი მიმდინარე აქტივები:	1305602	1832355
<i>გრძელვადიანი აქტივები:</i>		
ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება	89548	103068
არამატერიალური აქტივები.	809	809
სულ გრძელვადიანი აქტივები:	90357	103877
სულ აქტივები	1395959	1936232

ვალდებულებები

<i>მიმდინარე ვალდებულებები:</i>		
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი	74901	277815
მიღებული ავანსები ვალდებულებები	2550	896951
სხვა ვალდებულებები	2740	2542
სასესხო ვალდებულებები	828119	739006
საგადასახადო ვალდებულებები:	94040	67066
საპენსიო ფონდი	28487	59766
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები:	1030837	2043146
<i>საკუთარი კაპიტალი</i>		
სამეურნეო წლის მოგება	-140031	-472036
გასული წლების მოგება ზარალი	505152	365122
სარეზერვო კაპიტალი	0	0
მთლიანი საკუთარი კაპიტალი:	365122	-106914
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი:	1395959	193623

ახსნა-განმარტებები მოგება ზარალის ანგარიშგებაზე
(იხ. მოგება ზარალის დანართი)

შემოსავლები

ფინანსური კუთხით 2021 წელს მიწოდება მომსახურებიდან მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა შეადგინა 6 261 100 ლარი და არასაოპერაციო შემოსავალი 14840 ლარი.

ხარჯები

საზოგადოების მთლიანმა დანახარჯებმა 2021 წელს შეადგინა 6646887 ლარი დანახარჯებიდან ყველაზე დიდი ხვედრითი წილი მოდის საქონლის თვითღირებულებაზე 44 %, მომსახურებაზე 30 %, , შრომის ანაზრაურებაზე 22 % და სხვა ხარჯები 4 %.

ფინანსური კუთხით 2021 წლის ზარალმა შეადგინა 472036 ლარი.

მოგება-ზარალის ანგარიში

	2020 წ.	2021 წ.
ამონაგები	3515792	6275940
საქონლის თვითღირ-ბა	(1659468)	(2923635)
გაწეული მომსახურეობის ხარჯები	(617883)	(1978137)
სესხის პროცენტი	(55116)	(112715)
ხელფასის ხარჯი	(1122750)	(1467665)
საიჯარო ქირა	(11942)	(13504)
დაზღვევა	(32999)	(33841)
ქონების გადასახადი	(589)	(884)

საგადასახადო ხარჯი	(9841)	(17090)
ამორტიზაცია	(18184)	(18925)
საპენსიო ანარიცხები	(20527)	(27520)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	(15169)	(22866)
მივლინების ხარჯი	(13965)	(14506)
ტენდერის ხარჯები	0	(1848)
სხვა ხარჯები	(24758)	(17998)
სულ ხარჯები	(3603191)	(6651134)
მოგება/ზარალი	-87399	-375194
გაცემული დივიდენდი	52632	96842

ახსნა-განმარტებები ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისზე
(იხ. დანართი ფულადი ნაკადების მოძრაობაზე)

2021 წლის მონაცემებით მომსახურებიდან და სხვა შემოსავლებიდან მიღებული ფულადი თანხა შეადგენს 8 988 923 ლარს, ფულადი გასავალმა შეადგინა 8 860 300 ლარი, პერიოდის ბოლოსათვის გაიზარდა 128 624 ლარით და შეადგინა 217 900 ლარი.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2020 წ.	2021წ.
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	242306	89276
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
მომსახურებიდან მიღებული ფულადი სახსრები	4010210	8128924
აღებული სესხები	1602173	859999
დამფუძნებლების შენატანები	0	0
არასაოპერაციო შემოსავალი	0	0
სულ ფულადი თანხა	5612383	8988923
მასალების შეძენა	(2284792)	(1295046)
გაცემული ხელფასი	(898200)	(1264009)
გადახდილი გადასახადები	(448892)	(743030)
საქვეანგარიშოდ გაცემული	(283431)	(2307222)
საიჯარო ქირა	(14242)	(16835)
მივლინება	(13140)	(14506)
მომსახურებების საფასური	(617883)	(2408847)
დაზღვევა	(26496)	(33841)
სესხის გაცემა	(1048750)	(551273)
გადახდილი დივიდენდები	(50000)	(92000)
სესხის პროცენტის დაფარვა	(55116)	(112715)
სხვა ხარჯები	(24471)	(20977)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო მიზნებისათვის	<u>(5765413)</u>	<u>(8860300)</u>
 ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლო	 89276	 217900

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში
(იხ. დანართი კაპიტალის მოძრაობაზე)

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშიდან ჩანს, რომ 2021 წელს საზოგადოების
ეკონომიური საქმიანობა დამთავრდა ზარალით


	საწესდებო კაპიტალი	რეზერვები და დაფინანსება	აკუმულირებული მოგება-ზარალი	სულ
1.01.2021 ნაშთი	-		365122	365122
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება- ზარალი			-375194	-375194
გადახდილი დივიდენდი	-	-	(96842)	(96842)
31.12.2021 ნაშთი	-		-106914	-106914

დირექტორი:



/ლაშა რუხაძე/

მთ. ბუღალტერი:



/ნანო რუხაძე/